

„დროების“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დასა-  
რადგოვის სახლში.  
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე  
მცხოვრებთათვის აღრესით: В Тифлисе, въ Редак-  
цію „Дროба“  
ფასი: წელით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით —  
8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით —  
6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4  
მ. 8 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

# დროება

ბამონის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურულად დასა-  
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე  
და შეპირდება მოთხოვნს, რედაქცია განასწავლოს  
და შეამოწმოს დასაბუქდაე გამოცხადებულ წერილებს  
დაუბუქდაე წერილებს რედაქცია ვერ დაუბუქებს  
ავტორს.  
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за  
границы принимаются только въ денг, конторѣ  
объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6“  
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

„დროების“ რედაქციაში; მუთარისში — მ. ჭილაძეების  
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მისე ნათაძესთან; თბილისში — ვანო როს-  
ტომაშვილთან; გორში — ადამო თუთავეთან.  
საფლანკის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით  
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადე-  
ბულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ქუთაისს  
„ივერიაზე“

მისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან „დროება“ და „ივერია“ ერთის  
წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს  
„დროებისზე“ აღრესით.

შეგანათლებულესი ქენია მღენე ბრუხინსკისა შეიღებთურთ გუ-  
ლითადის მწუხარებით აუწყებს პირველი შეიღის და მეორენი თავიანთ  
მის კამარ იუნარის უბანათლმეპულასის თავადის ილია ალექ-  
სანდრას-მე ბრუხინსკის ვალაცვლებას ქალაქს ბათუმში, იანვრის 4-ს  
და უმორჩილესად სთხოვენ ნათესაეთა და ნაცნობთ მოპანდენ დასა-  
საფლავებლად მცხეთის სობოროში, სამ შაბათს, იანვრის 8-ს, დილის 10-ს  
საათზედ.

დას, იანვრის 6-ს, თბილს  
სათავდაზნაურო სკოლის გამგე  
კომიტეტი გამართავს თბილისის ძირუ-  
ქოკისა დარბაზში  
**ბაღს**  
სკოლის სასარგებლოდ. მალეები შე-

„დროების“ ჭეღვრანი, განჯისა-ს-  
ახალ-წლის საპირკარო კალტონი  
ახალ-წლის საკვირაო ჭეღვრანი  
ისეთის ხასიათისა უნდა იყოს, რომ  
მთელი წლის განმავლობის ნამუშა-  
ვარი ჭეივსა და გონებას გასართობს და  
სასიამოვნო მასალას აღოვედეს. წლის  
განუწყვეტელი შრომით გონებითა და  
ჭიბიკურად დაღლილს მკითხველს მე-  
ჭეღვრანემ ისეთი რამე უნდა უთხრას,  
რომ წარსული შრომისაგან ნაღწი  
ოფლის სამუშაო განუქარვოს და სა-  
მერმისო შრომისათვის ძალა და ენერ-  
გია მიჰმატოს და გაუღვიძოს. მაგა-  
ლითად, ძლიერ სასიამოვნო იქმნე-  
ბოდა რომელიმე მწერლისათვის ახალ-  
წლის პირველ კვირას მებარებინა; მე-  
ნი ჭეღვრანები, პუბლიცისტური წე-  
რილები და ან თხზულებანი რომელ-  
მაცე ლიბერალური აზრები გამო-  
გინვეყნა, ხელ-უხლებლად გვადლის  
ტიპოგრაფის დაზავზე და ხვედრს და  
შეგისე დაეწაუება მათ მკითხველი

ბაღს დაესწრონ ბაღს გულ-მეკრუ-  
ლი კაბებიანად. ბაღი დაიწყება საღ-  
მოს ცხრა საათიდან.  
ბილეთის ფასი ორ-ორი მანეთია.  
წინაღვე ბილეთების ყიდვა შეიძლება  
შავერდოვის პავილიონში და ძრუქო-  
ვის შევიცართან.  
საზოგადოება, როგორც ამ ჩემს ჭე-  
ღვრანს-მეთქი (ვაი, თუ ეს შედარება  
არც კი იამოს); განა სიამოვნებით არ  
წაიკითხავდა ამ ჩემს ნაწერს ის ზედა-  
გოგი, რომელმაც მთელი კვირა იღუ-  
მალ გულის ხეთქაში გაატარა და  
დღეს, მოცილის დროს, ცოლი თა-  
მამშოვის ქარვალისკენ იწვევს ბრავს-  
ლეტისა და შლიანის საყილოდ, ქმარი  
ჯიბებს იფხვს, მაგრამ ყურ-განხრე-  
ტილს ფარასაც ვერ ატყდება თავს;  
120 სათის ჯოჯოხეთური მუშაო-  
ბისთვის სამოცი მანათი მიუღია ოცს  
იმ თვეს და 21-ს მხოლოდ სამმანეთ  
ნახევარი ვაღწარაჩუნებია მოვალეთა  
დაკმაყოფილების შემდეგ — აი ამისთა-  
ნა ზედაგოგისათვის რომ მებარებინა:  
ვაჟო, გამაგრდი, მოვიდა ის დღე,  
როცა კეთილი მუშის ნაყოფიერს  
შრომას ფასი ეღება-მეთქი — იამებოდა  
კი არა, ხბოდავით როკვას დაიწყობ-  
და. არადა თქმა უნდა, რომ ამ განხრე-  
ბისათვის სამანარობლოდ შენი კირი-  
მეო მეტყოდა სიამოვნებით პელ-  
გოგო მაგრამ მეივე რომ-მეთქვა ზო-

თბილისი, იანვრის 6-ს.  
მკითხველი დიდის სიამოვნებით მი-  
ეგებება იმ აზრებს, რომელიც გუშინ-  
დელმა ტელეგრამამ მოგიტანა. ჩვენ  
ვამბობთ იმაზედ, რომ უმაღლესად  
ებანა ქონებათა მინისტრს სახელმწი-  
ფო მამულების იჯარით ვაჭრობის  
მოუხდენლად გაცემა გლახთა საზო-  
გადოებათათვის. ამ განკარგულებას  
საზოგადოდ რუსეთისათვის და კერ-  
ძოდ ჩვენ ქართველობისათვის მეტად  
დიდი მნიშვნელობა აქვს და, უწყვე-  
ლია, მას სასარგებლო და ნაყოფიერი  
შედეგიც ექნება. შევლასათვის ცხა-  
ლია, რომ მიწად-მოქმედობას რუსე-  
თის იმპერიაში პირველი ადგილი უჭი-  
რავს და უმრავლესობას ის წოდება  
შეადგენს, რომელსაც მიწად-მოქმე-  
დობა თავის პირველ საქმედ მიანი-  
აქამდისაც უმაღლესი მთავრობა ყუ-  
რადლებას აქცევდა მიწად-მოქმედობის  
აღორძინებას და არაოდეს არ იფი-  
ყებდა, რომ სწორედ ამ გვარ შინა-  
ურს სახემწიფო ცხოვრების მიმართუ-  
ლობას და გამგეობას შეუძლიან საპა-  
ტიო ადგილი მისცეს რუსეთს სხვა  
სახელმწიფოთა შორის. სამწუხაროდ,  
უწინ, ბატონ-ყმობის დროს, მმარ-  
თებლობის კეთილ-განზრახვას და მო-  
ქმედობას ხშირად აბრკოლებდენ სხვა-  
და-სხვა ვარგებობანი, რომელთა შო-  
რის, რასაკვირველია, პირველ და-  
მბრკოლებელ ვარგებობად უნდა ჩა-  
ითვალდეს თვით ბატონ-ყმობა. თუმცა  
ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ მი-  
წად-მოქმედობას შედევთი მიეცა და  
გლახ-კაცობამ ცრტად თუ ბევრად  
თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ

გერთა ექიმისათვის, მგონი ბრავს-  
მორეული ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა  
ჩემს ნაჯღანს, რადგანაც კეთილი  
მუშა იმასა ჰქვია, ეს შრომასაც ნა-  
ყოფიერი გამოსავალი აქვს და შე-  
საფერ ფასად ვადის საზოგადოებაში.  
რომ ავადმყოფთა საზოგადოებამ ზო-  
გერთ ექიმს შრომამზე წასული  
დროისა და შრომის ნაყოფიერების  
შესაფერი ფასი შეაძლიოს, ხომ სიმ-  
შლით მოკვდება ექიმი. მაშინ ხომ  
ველარას აიღებს ქინკინას და გლაუბე-  
რის მარლის რეცეპტის დაწერაში.  
დიდი სიამოვნებით დაათვაებდა ბო-  
ლომლის ჩემს ჭეღვრანს წეწვა-გლე-  
ჯაში გამთენებელ-დამლაშებელი ცოლ-  
ქმარი, რომ ამ დილაზე მებარებინა:  
შენ შენთვის, ის თავისთვის, ორივე თა-  
ვისუფალნი ხართ-მეთქი. წეწვა-პითხვის  
საზოგადოებისა გამგეობა თავ-ქვეშიდამ  
არ მოიცილებდა ამ ჩემს ჭეღვრანს,  
რომ მებარებინა: საზოგადოების წე-  
რებს მოუფიქრებთ, რომ ისინი  
დიდს უღმრთოობას ჩადიან, შე-  
იქმნებიან ღვთისა და ერის წინაშე

ზოგიერთა უწინდელი დაბრკოლებანი  
ისევ ღარწენ და თითო-ორიოდა ანა-  
ლიც ზედ დაერთვა, საქმე ის არის,  
რომ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ  
გლახობას, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გა-  
მო, ვერ მიეცა საკმაო სახანჯ-სათვის  
მამული და გარდა ამისა მას სრული  
თავისუფლება არ მიეცა ზოგიერთა მა-  
შულის ხმარებისა (ტყე, საძოვარე და  
სხ.), რომელიც მის ეკონომიურის  
კეთილ-მდგომარეობისათვის უსაქირო-  
ეს საგანს შეადგენს. მს იყო უმთავ-  
რესი მიზეზი, რომ ბატონ-ყმობის  
მოსპობის შემდეგ პიროვნულად გან-  
თავისუფლებული გლახობა ცრტაოდ-  
ნად მაინც ნაბატონარების მორჩილე-  
ბაში ღარჩა, რადგანაც ძველს ეკო-  
ნომიურს ურთიერთობას და დამო-  
კიდებულებას სრფაოდ არ მოელო-  
ბოლო. ამას გრძობდა როგორც  
უმაღლესი მმართველობა, ვა-  
რთვე საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა და  
ყველანი ერთად სტლილობდენ აღრე-  
თუ გვიან შეეცვალათ ეს მდგომარე-  
ობა. შრიად სასიამოვნო და ღირს-  
შესანიშნავია, რომ ამ შემთხე-  
როგორც სჩანს ახლის ვაიკარგუ-  
ლებისაგან, მმართველობას ყურადღე-  
ბა მიუქცევია მწერლობისათვის, რომ-  
მელიც საკვირველის ერთგულობით  
და მუყაითობით უჩვენებდა საზოგა-  
დოებას ახალი რეფორმის ეკონომიუ-  
რი წეს-წყობილობის ნაკლს და და-  
უმთავრებლობას. მმართველობამ შემ-  
დეგ ხანგრძლივის საქმის დაკვირვები-  
სა და შესწავლისა, შესუსტა ეს ნაკ-  
ლი და ამით უჩვენა ხალხს, რომ იგი  
ფხიზლად ეყიდება მის კეთილ-მდგომარე-



რეობის საქმეს. მართალია, ახალი განკარგულება მართა სახასო მამულებს შეეცება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ესეა მმართველობა ევროპეულ დიდ მხრუნველობაშია დროებით დადებულ გლენობას შეასყიდინოს ნაბატონარებისაგან. ანაღვლები და ამ საქმისათვის იგი არა ვითარიმე შესაძლო ღონისძიებას არ ზოგავს, მაშინ აშკარად დაინახავთ — თუ რა ჭეშმარიტს და საიმედო გზას ადგია მმართველობა. ჟოველსავე ამასთან უნდა დაესკვნათ ისიც, რომ რაც შეიძლება მალე, საქიროა, სახასო მამულთან ერთად „ნადელის“ მამულიც გლენობის სრული საკუთრება განდეს და ამითი მოისპოს ის უსიამოვნება, რომელიც ხანდისხან იბადება ამ მიწების გამო. ახალი განკარგულება იმედს ჰბადავს მკითხველში ამ საქმის შესახებ.

ქერძოდ საქართველოსათვის ახალს განკარგულებას, ვგონებთ, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთში მიწად-მოქმედებას, რომელიც ხალხის უპირველეს წარმოებას შეადგენს, გვერდით უდგია სხვა მრავალგვარი წარმოება და მრეწველობა. ამისათვის იქ მამულის მცირე რაოდენობას გლენობისათვის ისეთი ზარალი არ მოაქვს, როგორც პირველ მხედველობით შეუძლიან მკითხველმა წარმოიდგინოს. იქ გლენობა, როცა მამული არ ჰყოფნის, ანებებს თავს თავის მიწა-წყალს და სხვა ადგილებში მიეშურება სამუშაოდ (отходные промыслы). ჩვენში ასე არ არის. აქ მიწად-მოქმედება შეადგენს თითქმის ერთად-ერთს წარმოებას და გლენ-კაცობა იძულებულია მამულით მოინაცულოს ხელი; კიდევ ამისათვის ჩვენში მამულის ნაკლებობა ასე საგრძობელია, ნამეტნავედ გლენ-კაცობისათვის... მეორე გარემოებაც ხდის ახალს განკარგულებას ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენად. ჩვენ ვამბობთ იმაზედ, რომ რუსეთის არც ერთს

კუთხეში გლენობას არა აქვს ისე მკითხველი მამული, როგორც ჩვენში. საქართველოს ზოგიერთა ადგილებში მამული ისე ძვირად ფასობს, რომ მკითხველი პირველად არც კი დაიჯერებს, როცა ნიჭიკობს, რომ ხშირად დღიური მამული ოც-და-ათ თუმნად და ბევრჯელ მეტადაც იყიდება. სხვათა შორის, ამ მამულის საშინელმა სიძვირემ გამოიწვია ტყეების ასე შეუწყალებლად გაჩეხა. ჟოველ წლივ ასი და ათასი დღიური იჩეხება სახეობის გასაშენებლად, მაგრამ ვერც ეს შეეცდის გაჭირვებულს მდგომარეობას. ამისათვის დიდს შეღავათს მისცემს ჩვენს გლენ-კაცობას ახალი მმართველობითი განკარგულება.

ზარდა ყოველივე ამისა, მკითხველმა ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენში ძველადვე სახასო მამულის მფლობელობა სოფლის და გლენობის ხელში იყო და ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცოდა ამ გვარი მამულის იჯარით გაცემა. ჟოველთვის გაჭირვებული გლენობა, როცა თავს ანებებდა შემაწუხებელ ბატონებს, სახასო მამულში ბინადებოდა, ასე, რომ ძველადვე ჩვენს გლენობას სახასო მამული თავის მფლობელობად მიჰანდა. ტყით, წყლით, სამოვრით სარგებლობა ხომ ყველასთვის თავისუფალი იყო, რადგანაც კანონი პირდაპირ უკრძალავდა, რომ ეს სარგებლობა არავის დაეშალა მცხოვრებლებისათვის. აი, რისათვის ახალი განკარგულება მით უფრო სასარგებლოა, რომ ჩვენის გლენ-კაცობის ძველ ჩვეულებას ეთანხმება.

**შინაური ჰრონიკა**

† ჩვენ ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყეთ. ამ დღეებში გადაცვილია მიხეილ ბიორკისძე ბურგენიძე, რედაქტორი ჟურნალის „იმედისა“. მანსვენებული მოღვაწე პირი მედგრად

თავს-მჯღამარეს მისაწვევ განცხადებას წაიკითხვენ ვანეთში, ხშირად ამბობენ თუთრამე: ჯერ ერთმანეთი არ გაგვიცენია, ერთმანეთი არ გვინახავს და, ვინ იცის, იქნებ სხდომის დროს, ზედამხედველმა გამგეობის წევრად არ ჩაგვთვალოს და სხდომა არ გახსნას.

ჩემი ყელეტორი სრულიად აცქვევბდა ჩვენს ანტრეპრენიორს, რომ მებნარებინა შემდეგი: რალაც ზეგარდა-შო ძალისაგან მისდამი მიბარებულს და ნაჭირავებს არტისტებს ხასიათი შესცვლიათ, ახლი მუდამ ზნეობის კატეხიზმო ხელში უჭირავთ და კითხულობენ იმ მუხლს, რომელიც ყოველს კაცს უსასყიდლო შრომის კისრად ღება ურჩევს.

ჩვენი მუთაისის ბანკის მწარმოებელთათვის რომ კრთი რამ მებნარებინა, ისინიც გულის ფეთქვას მიეცემოდენ, მაგრამ ყველა ერთ დღეს კი ვერ გახდებოდა ღირსი ამ სასიამოვნო ამბის სმენისა. მაგალითად, ერთი მათგან-

ებრძოდა, თავის რედაქტორობის დროს, სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა და ბოლო დროს, თუ ხელიდამ გაუშვა კალამი, ამის მიზეზი უფრო ის საერთო ვითარება იყო, რომელიც ასე ხშირად ხელს უშლის ხოლმე მრავალ გვარს ჩვენს საზოგადო დაწყებულებასა. მართალია, თავის დროზედ „იმედს“ ბევრს წუნს სდებდენ, მაგრამ იმას კი არავინ იტყვის, რომ განსვენებულს რედაქტორს ძალა და ჯაფა დაეშურვოს თავის ჟურნალისათვის. რაც უნდა იყოს, მაინც მკითხველი მწუხარებით წაიკითხავს მის ბურგენიძის სიკვდილის ამბავს.

— ზარის მახრაში ბევრგან მოღებულია ყვავილი და სხვა-და-სხვა ვადამდები ავადმყოფობა. ამაზედ ერთხელ და ორჯერ არა ყოფილა ნათქვამი „დროებაში“ და ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ აქამდის არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული ამ სენის წინააღმდეგ. მით უფრო გასაკვირველია ეს, რომ ბორის მახრას უფრო მეტი საშუალება აქვს, ვიდრე მაგ. ძახეთს, რადგან ამ მახრაში გარდა სამახრო ექიმისა ქ. ზორში, არის ექიმი აგრეთვე ს. სხინვალში და ორგანვე აფთიაქებიც არის დამართული.

— ამბობენ, ესეა უფრო დიდი ჯარიმი გადახდებათ იმათ, ვინც უკანონოდ ტყეში შევა და გამოიტანს რასმე. მანზრახვა აქვთ, რომ ეს განკარგულება ჯარიმათა გაბევრებაზე გაავრცელონ იმპერიის ყველა გუბერნიებზედ და აგრეთვე პოლშის სამეფოსა და თავკასიაზედაცაო (გაზ. „რუს. სურ.“).

— ჩვენ ენახეთ სხინვალის იმ საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდება, რომელიც ესეა არსდება და სიამოვნებით ვაღვიარებთ, რომ ამ გვარ პატარ-პატარა საზოგადოებას საშუალება ექნება ადგილობრივ მცხოვრებთა გაჭირვება ადვილად შეიტყოს

ლია ფეხი მოიდგას ცხოვრების რომელსავე ბურჯზე? ჩვენმა პოეტებმა ლამის ლოცვა გაათავონ, მოსესი არ იყოს, ალექსის ქვეყნის საზღვარზე და არავინ არა ჰყავთ, მხარში ამოუდგენ, რომ ზეცისადმი აღაპრობილი ხელები გაუმაგრონ და ლოცვას ნაყოფი გამოაღებინონ, წმიდა ნათესი მორწყონ და ქირახული საგანძურად და საუნჯედ დასდონ. ჩვენ ახლანდელ დროში იმდენად ეჭვ-მორეული ვახლავართ რომ ბევრად აღარ გვწამს ზოგიერთი საახალწლო ჩვეულება, თორემ წინედ, როცა ყოველი ჩვენგანი ჩვენსავე ქერქში ვიყავით, ახალ-წელიწადის დადგომას რალაც ცის ვახსნასავით მოველოდით, ყველა ერთმანეთს შეეხაროდით. მეველე რომ მოსალთცავად კარს მოადგებოდა და დაიბახებდა: კარი გამიღეთო, ოჯახში მყოფნი შესძახებდენ: რა მოგაქვსო. „მაკვლეიკა“ მოჰყვებოდა: — ღვთისა და ბატონის წყალობა, წმიდა ვასილის წყალობა, პური და ღვინო, ოქრო და ვერცხლი, სიმთელ-სიმხიარულიყო.

და შაშხადამე სარგებლობა უნდა ნოს.

საზოგადოების საშუალობას შეადგენს წევრთა წლიური შემოსატანი ფული, კერძო შეწირულებანი და გამართულის წარმოდგენებიდან, ალგებრებიდან და სხვა ამ გვარის დროს გასატარებელის საღამოებიდან შემოსული ფული. სწორედ ამ გვარივე საზოგადოება, ამ რამდენიმე წლის წინად ბათუმში იყო დაარსებული და ესეა იმ საზოგადოებას ას თუმანზედ მომეტებული თანხა აქვს და ყოველ წლივ მისი მოქმედება ფართოვდება.

მისურვებთ, რომ ამ ახლად დაწყობილმა საქმემაც მკვიდრი ნიადაგი იზაროს და მის საშუალებით არა მარტო ერთი და ორი ღარიბი შევირდა აღიზარდოს, არა მარტო ერთი და ორი სავანეს მოკლებული იქმნას ნუგემ-ცემული.

— ამ დღეებში თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთაგან იყო გამართული სამუსიკო და სალიტერატურო საღამო, რომელმაც საკმაოდ მხიარულად გაიარა. უკრავდენ სხვა-და-სხვა საკრავებზედ, წაიკითხეს და იმღერეს სხვა-და-სხვა ლექსები და ხმები. საღამო დაბოლოვდა ლეჟურით.

— ღღეს სათავედ აზნაურო სკოლის გამგეობისაგან არის დანიშნული „ბალი“, რომელიც „კრუჟკში“ იქნება გამართული. საზოგადოდ ეს ბალი ყოველთვის დიდს ხალხს მიიზიდავს ხოლმე და წელსაც საკმაოდ ბილეთები გასყიდულა. ბალის მოთავდარივედ და დიასახლისად ამორჩეულია კნინა ბ. ბარათთვისა, მოცუვეთა და მოტანციეთ რიგის მიმცემად ბ. ძარნოვიჩი.

— შიოლონიჩლისტის პოპერის კონცერტები თან-და-თან მეტსა და მეტს ხალხს იზიდავს. მის კონცერტებზედ ზალა ვაქცილია ხოლმე და საზოგადოება ხმა ვაქმენდილის სიამოვნებით

ძარს გაუღებდენ, მეველე შუა ცეცხლს შემოუფილია, ნუგუზალს წაატანდა ხელს და ცეცხლს შეუჩიხინებდა შემდეგი სიტყვების ზედართვით: ამდენი ვაჟი დაებალოს ამ ოჯახის პატრონსაო, ამდენი დოვლათი მისცეს, ამდენი სიკეთე, ხარი, ცხვარი, ძროხა, ღორი და სხვა ზემოხსენებული ლოცვიდამ ჩვენთვის ყველა საქიროა ახლაც; საქიროა ღვთის წყალობა, ბატონისასაც არა უჭირს რა, ოქრო ჩვენი გულის მალამოა, ვერცხლი-სულის შესაყუდებელი, სიმრთელე მუდამ სანატრელი და სიმხიარულე კი არ გვეჭირება, რადგანაც ქართველი კაცი მაშინ უფრო მხიარულია, როცა აღარაფერი აღარ გააჩნია. მანსაკუთრებით ჯანმრთელობა ახლანდელი ქართველი ინტელიგენციისათვის მისწრებაა. ჩვენი ახლგაზნა ინტელიგენტი ოცდა-ათს წლამდის ხორციელადაც და სულიერადაც მოხუცია. ძურისის შესრულებამდის, მოგვხსენებთ, სწავლას უნდებდა, ლაყობას ანდამებს დროს და, როცა ცხოვრებაში



ყურს უგდებს მართლაც დამატკობ-  
ბელს მუსიკას.

== როგორც ვიცით, მმართველო-  
ბა შვედის ფულის სესხებით იმ გლე-  
ხებს, რომელნიც თავიანთ ნადლე-  
ბის გამოსყიდვას მოინდომებენ და  
ფასისა შესახებ დათანხმდებიან ნაბა-  
ტონებთან. ამ დახმარებას მთავრო-  
ბა არ აღმოუჩინდა ხალხმუსულმან  
მცხოვრებთა, რომელნიც თავიანთ სა-  
კუთარის მოხერხებითა და ღონისძი-  
ებით იხსნიდნენ თავს ბევრისა და აღ-  
ლარებისაგან. ახლა, როგორც გაზ.  
„ნოვ. მბოზრ.“ შეუტყვიან, აცეკა-  
სიის გუბერნიების უფროსნი უმაღლე-  
სის მთავრობის განკარგულებისამებრ  
არდგენენ იმ წესებს, რა წესებითაც  
შევიძლება მუსულმან გლეხობასაც ნა-  
დლების გამოსყიდვა მთავრობის დახ-  
მარებით.

== ამ წლის იანვრიდან ერთი ახა-  
ლი განკარგულება დაიწყობს მოქმე-  
დებას. ეს განკარგულება შეეხება ექს-  
პერტიზის წარმოებას აცეკასიის სასა-  
მართლოებში, რომელიც ისეთივე უნ-  
და იქოს, როგორც შიდა რუსეთშია.  
შესაბამი განკარგულება ამ საგნის  
შესახებ მთავრობისათვის უკვე მო-  
უხდენია (გაზ. „რუს. სურ.“).

== ეს განეთივე ამბობს, რომ, რო-  
გორც შევიტყვით, შესაძნევე ცელი-  
ლებათა მონდენ განუზრახავთ ეხლან-  
დელ საქალაქო დებულებისათვის, იმის  
შესახებ, თუ ვის უნდა ჰქონდეს უფ-  
ლება არჩევანებში და საქალაქო საარ-  
ჩევანო კრებათა მდებარე მონაწი-  
ლეობის მიღებისა. რადგან არჩევნების  
დროს — ამბობს ვახეთი — უმრავლესო-  
ბას ვაჭრები და სავაჭრო ადგილების  
და სამრეწველო დაწესებულებების  
წარმომადგენენ ხოლომე, განზრახუ-  
ლია 1964 სტ. ისე შეიცვალოს, რომ  
უძრავი ქონების მონაკუთრეთა და ვა-  
ჭართა გარდა, არჩევანში მონაწი-  
ლეობდნენ ისინიცა, ვინც საქალაქო

შესდგამს ფებს, აქიმობაა მისთვის  
საზრუნველი საგანი. ამის მიხედვით  
ვეგბ იქ საზრდაა, რომლითაც ეს იკ-  
ვებება მთელს თავის ახალგაზრდაობაში:  
ოცში ერთ ახალგაზრდას ვერ ნახავ  
რომ სიმრთელე შეურყვევლი ჰქონ-  
დეს: ან სული უწყობს, ან გულო სტკი-  
ვა, ან კუჭით სუსტობს, ან მუდამ  
სცივა. ძიდევაც ესაა მიზეზი, რომ  
მას არ მოეძევა სრულიად არც ენერ-  
გია, არც თაბინობა და არც საზოგადო-  
საქმისათვის მუდმივი ზრუნვა შეუძ-  
ლიან. ამ სიტყვის გაგონებაზე ჩვენი ინ-  
ტელიგენტები (ყველა არ გაგონოთ)  
წვერ უღვაშს და თმასაც დაიბღღე-  
ნიდენ, მაგრამ თმა შენს მტერს, იმათ  
ალარ მოეძევაოდეთ და უღვაში და  
წვერი რომ კიდევაც დაიბღღენან,  
ძიდი არაფერია, რადგანაც ახლა უღ-  
ვაშს იმოდენი მნიშვნელობა აქვს, რა-  
მოდენიც მოტიტიტი ბარიშისა, ჩეს-  
ტნი სლოფასა. მაგრამ ათასიც რომ  
გაკვიჯავრდენ, ათასიც რომ შემოგვეყ-  
რენ, უნდა გატყვილიდეთ ეფთხრათ მათ  
ამ ახალი წლის დასაწყისში, რომ თუ

გადასახადის ტვირთს ეწევა, — ის პირ-  
ნი, რომელთაც დაქირავებული აქვთ  
ამა თუ იმ ქალაქში სახლები გადა-  
ჭრილის ფასით წელიწადში. ამასთან  
ყველა ამომრჩეველს, უძრავი ქონე-  
ბის პატრონთ გარდა, მოეთხოვება რომ  
ქალაქში ეცხოვროს ორის წლის გან-  
მავლობაში მინც არჩევენამდე.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით  
ამ ხმას და მხოლოდ იმას ვისურვებთ,  
რომ მალე გაართლებულიყო და  
შესრულებულიყო კიდევ მთავრობის  
სასარგებლო განზრახულება.

== „ავჯავში“ იწერებინან ძახეთი-  
გან, უწყსო და გაუფრთხილებელმა  
ნადირობამ ლამის სრულიად გასწყვი-  
ტოს ხობები, ირმები და სხვა ფრინ-  
ველნი და ნადირნიო.

საზოგადოდ ამ საგანს განსაკუთრე-  
ბითი ყურადღება უნდა მიექცეს და  
უწყსო ნადირობა აღიკრძალოსო.

== შოცხოვის ხეობაზე პარსისკენ ს.  
საიხვეს ახლოს აღმოუჩინათ მარმარი-  
ლოს მადნები. ამ მარმარილოს სა-  
ნიმუშო ნატენები გაუღისჯავსთ აცე-  
კასიის სამთო სამართველოში და  
უთქვამთ, რომ შოცხოვის თეთრი და  
მომწვანო მარმარილო ძალიან კარ-  
გი თვისებისაა და გამოსადეგი წვრილ  
ქანდაკებათათვისაო. (გაზ. „პარსი“).

### საზრუნველი

საზრუნველი ბენერალ ამპენო-  
ნის გადაყენება სამხედრო მინისტრის  
თანამდებობიდან გამოიწვია იმ ვარე-  
მოებამ, რომ ეს მინისტრი ვერ შეუ-  
თანხმდა საფრანგეთის მმართველობას  
ჩინეთის საქმეების გამო. ბენ. ამპენ-  
ონი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ  
საფრანგეთის მფარველობა (პროტე-  
ტორატი) გაერ ცელეზულიყო ჩინეთის  
მოსამზღვრე ქვეყნებზე. ბალაყენებუ-

რცე მოიქცენ მომავალს წელში, რო-  
გორც წარსულში იქცეოდენ, მგო-  
ნი კარგი იქმნება, ინტელიგენტობა-  
ზე სრულიად ხელი აღიღან. მარაუ-  
ლით რომ ვიანგარიშობთ, მთელს სა-  
ქართველოში განათლებულნი პირნი  
(იგულისხმებთ ახლანდელი განათლება)  
საკმაოდ არიან. არიან პედაგოგები,  
ლიტერატორები, პუბლიცისტები, იუ-  
რისტები, და სხვანი. არც ერთ მათ-  
განს ამ წელიწადში ისეთი არა გაუ-  
კეთებია-რა, რომ ცაცმა ზედ თვალს  
შეაჩეროს. უძროოდ მოხუცებულნი  
მოღვაწენი, — ეგ ვინ იცის, შეჰმე-  
ნისთ, თუ არა, მათ ეს სახელი, —  
გაიძახიან: ჩვენ რაც ვიმოქმედეთ, ისიც  
კმარა, ახლა ახალგაზრდაობისათვის დაგ-  
ვილოცავს გზაო. ამ სიტყვების თქმა  
ორსამ კაცს თუ შეჰმევენის ჩვენში, თო-  
რემ ეგ როგორ უნდა გაბედოს ისეთ-  
მა ახალგაზრდამ, რომელიც საცოლეს-  
თან 28 წლისად „იგდებს“ თავს და  
საზოგადო საქმეებისთვის ასწლოვანად  
ეს სიტყვები გულის გინთქს კაცს,  
როცა გრძობ, რომ მას სრულიად

ლი მინისტრი ვერ მოუზიგდა იმ  
აზრს, რომ ჩინეთისათვის ეალად და-  
ედოთ შიან-ძინის ტრაკტატის შესრუ-  
ლება და ამ გვარს თვის შესხედულე-  
ბას ამ საქმეზე აშკარად აღიარებდა  
ყველგან. ამის შემდეგ ცხადად სცნო  
ამპენონმა, რომ მინისტრის პორ-  
ტფელი მას აღარ შეეფერებოდა და  
დასტოვა იგი. მისი ადგილი დაიჭირა  
გენ. ლევალიმა, რომელსაც სამხედ-  
რო საქმე ფრად კარგს კეთილ-დღეო-  
ბაში დახვდა, რადგან მისი წინამოა-  
დგილე გენ. ამპენონი დიდად ილ-  
წოდა ამ საქმის წარმატებისთვის და  
ახალ მინისტრს თავი არ შესტკივა  
ახლის ცელილების შემოღებისა-  
თვის. ცელილება მოსალოდნელია  
მხოლოდ ჩინეთის საქმეების შესა-  
ხებ, რადგან ამ შემთხვევაში ნამინი-  
სტრალის და ახლის მინისტრის შე-  
ხედულება ამ საქმეებზე ძირითად გა-  
ნირჩევანს. მაგრამ ახალი მინისტრის  
აზრს თვით მისი სიტყვებიდან უფრო  
ნათლად ესცნობთ. ჩემსა და მინის-  
ტრთა პრეზიდენტის შუახრული თან-  
ხმობა სუფევსო, უთქვამს თვის ნაც-  
ნობთა წრეში გენ. ლევილს, იმის  
გამო, რომ ჩინეთის საქმეები ფიც-  
ხლად, დაუყონებლივ უნდა იქმნენ  
გადაწყვეტილიო. ბენ. ლევალი არ  
ექვობს, რომ შიან-ძინის ექსპედიცია-  
ში სრული გამარჯვება საფრანგეთს  
დარჩება. თქვენ კარგად უწყითო,  
დაუმატებია ახალს მინისტრს, რომ  
მე არა ვარ პოლიტიკოსი — უბრალო  
საღდათი ვარ, მიყვარს გულით ჩემი  
ხელობა და წმიდა მოვალეობად ვრაცხ  
საფრანგეთის ჯარისათვის მოღვა-  
წეობას.

ბასულის წლის დეკემბრის 19-ს  
დიდ-ძალი მეგობრები ზამბეტასი შეგ-  
როდენ იმ სახლში, სადაც ამ გამო-  
ჩენილმა შეიღმა თვისის ქვეყნისამ და-  
ლია სული. ტახტი, რომელზედაც  
დიდებულმა სახელმწიფო კაცმა განუ-  
ტევა სული, ამისმა მეგობრებმა მოჰ-  
ფინეს ვარდებით და გვირგვინებით.

არაფერი არ გაუყურებია და მამულის  
შეიღობაზე ხელის აღებასაც არ აპი-  
რებს. ურცხვად და უნამუსოდ ამბობს  
ცხადს სიცრუეს: მე ძველ თაობას  
ვეყუთენი, ბურთი და მოედანი ახ-  
ლებისათვის დამილოცნიაო. მკითხ-  
ველი არ შეცდეს და მართლა არ  
ფიქროს, თითქო ეგ ახალგაზრდა  
მოხუცი ან ერთს ან მეორე თა-  
ობას ეყუთნოდეს. იგი გახლავს  
კეთილ-მობილი ფუტკარი, რო-  
მელიც მუშა ფუტკრისაგან მითი გა-  
ნირჩევა, რომ მან ცუდად ყოფნის  
და ჭამის მეტი არა იცის-რა. ამის  
შემდეგ, რომ კიდევ მეფუხალი ცეცხ-  
ლში შეეფიჩინოს და ზედაც დაე-  
ყალო: ამდენი ვაყი მეთქი, აბა რა  
სანატრელი იქმნება? მაქს კარგი გა-  
მოზრდა უნდა და ამდენი ვაკანსიები  
სადა გვაქვს?  
საზნაურო სკოლებში ყველანი არ  
დაეტევიან და სხვაგან ადგილები ისე  
დატერილი, რომ ჩვენი შეილისათვის  
ალავს ვინდა შეინახავს? ში თუ იმ  
ვაკანსიებმაც თავი დაუკრას ჩვენს

სასტუმლოდ ილო გვიჩვენებენ შენა-  
ლიონით, რომელიც წააშალდგენდა  
დაგვემუღს საფრანგეთს ზედ წარწე-  
რით: „იმპერიამ დაგტანჯა შენ; მე  
აღგადგენ... ამ შემთხვევისავე გამო-  
მომხდარს მეორე სხდომაზედ პოლ-  
ბერს წარმოუთქვამს სხვათა შორის:  
„ზამბეტას სამარე ჯერ არ დახურულა  
და არც დაიხურება იმდრომდე სანამ არ  
აღვასრულებთ ყოველსავე მას, რაც  
გვიანდობა ჩვენ იმან და რა გზასაც  
აღვა თვით განსვენებული. პარველი  
ამ გზათაგანი — აღდგენა და დამკვიდ-  
რება საფრანგეთის რესპუბლიკისა — გა-  
აკვლია თვით ზამბეტამ; მეორე-კი  
დაუშთაურებელი დარჩა. მას ჰსურდა  
აღედგენა ძველი სამხედროები თვისის  
საყვარლის მამულისა. სკვტრკებმა  
შეიძლება სთქვან: „ეგ ოცნებააო!“  
მაგრამ ეცოცხლა ზამბეტას, არ წა-  
რეტაცა უსამართლო სიკვდილს ჩვენი  
დიდებული მეგობარი და მამინ და-  
ვინახავდით — ოცნება იყო ეს, თუ  
ნამდელი რწმენა.“

მსპანი. ბასაოცებელი უბედურე-  
ბა მოუვლინა მსპანიას მიწის ძვრამ.  
იქცევა მთელი ქალაქები, იყლიტება  
აუარებელი ხალხი. სოცხლად დარ-  
ჩენილნი ცის-ქვემ რჩებიან. მინც-კი  
გადარჩენ ამ აუწერელს ძალას ბუნე-  
ბისას, — წველა-კრულით სტოვებენ  
იმ ადგილს, სადაც მობილან, აღზრ-  
დილან. მის მამა, დედა, ვის შეილი  
და ძმა, ვის ცოლი და და გამოგლიჯა  
ხელიდამ, საუკუნოდ დაუმარხა ამ შე-  
მადრწუნებელმა მოვლენამ. ხალხში  
სიმშობილია. შოველის მხრით შეწირუ-  
ლება მოდის.

რომის პაპს, რომოცი ათასი ლი-  
რის შემწეობა გაუგზავნინ დაზარალებ-  
ბულთათვის.

იტალია. როგორც ყველა მერო-  
ბის სახელმწიფოთა, აგრეთვე იტალია-  
საც დიდი ყურადღება აქვს ამ ეჭმად  
კოლონიალურს პოლიტიკაზედ მიქ-  
თავად-აზნაურობას, რომელიც საზნ-  
სკოლებში აქვს და ეგ წინასწარ საგნძ-  
ნობიც არის. მგონი ჩვენ თავდაზ-  
ნაურობას ცხე მუუქედეს, როგორც  
ერთს ოკრიბელს გლესს დაემართა.  
მართი ნეზვი თხა იყიდა ოკრიბელმა  
და ცოლს უთხრა, მაინც-და-მაინც  
ყველიერში ამ თხის ყველით უნდა  
გავიტანოთ თავიო. ლედა-კაცმა სწვე-  
ლა, სწველა და ორიოდ ნაჭერი ყვე-  
ლის მეტს ვერას გამოიჩნა. ბოლოს  
ნამეტანი წველით თხას ძუბუები კი-  
ნალამ გამოგლიჯა და გლეხი ყვე-  
ლიერში უყველოდ დარჩა. ასეა ჩვე-  
ნი საქმეც: თავად-აზნაურობას უნდა  
ბანქს იმდენი გამოწველოს, რომ რძე-  
თაც ეყოფს და ყველათაც, მაგრამ ახლა  
ჩვენი ბანკები ვერ გახლავან მგონი  
კარგ საბალახებზე და შესაძლებელია  
ბევრი ვერ გამოიწველონ.



ცული. ღვინის ამ საგანს ყურს არ უღებდნენ იტალიაში, მაგრამ მასუკან, რაც საქმე მისწრებაზე ჩამოვარდა და მეროპის სახელმწიფო ინიაციონებენ სადავო ადგილებს აქრიკის ნაპირებისას, რომ წაგებამი არ დარჩეს, იტალიამაც გამოიწვია ხელი. იტალიას კარგა ხანია მიზანში ამოღებული აქვს ტრიპოლი, რომელიც ამ ქამალ მსმალეთის სამფლობელოდ ითვლება. ბაზეთებში ხშირად იწერებინან, რომ ტრიპოლიელები ძლიერ უმადურნი არიან მსმალეთის მთავრობისათვის. მხოლოდ ეს გარემოება აქვს საბუთად იტალიის მთავრობას და მხოლოდ ამ საბუთით მოუწადინებია ტრიპოლი ჩამოართვას მსმალეთს, რომელიც ჰტოლბს მას არა როგორც სავსალო მიწას, არამედ როგორც საკუთარს პროვინციას. სანონიერია თუ არა ამ გვარი განზრახვა იტალიის მმართველობისა და ექმნება მას ნება ხალხთა მორბერების განაჩენით ამ გვარს დასაკუთრებაზე სხვისი კუთვნილებისა, თუ გვერდს აუხვევს ამ განაჩენს, ამაზედ ჯერ განეთებინ არას გვაუწყებენ. — მხოლოდ იტალიის მართველობას უკვე ვადაუწყებთ ტრიპოლის დაქვეა, როგორც რომაელთა გამაჟული ტელეგრაფი გვაცნობებს, და სამხედრო მინისტრს ჯარივს ვაუშვადებია.

პაპ. ალტაცებაშია იმ მანიჭესტაციით, რომლითაც პესტისის სლავიანებს ჰსურთ ილღესასწაულონ ათასი წლის იუბილეი წმ. მეთოდისა. პაპი დაიმედებულია, თურმე, რომ ამ შემთხვევით დაცხრება განხეთქილება მართლ-მადიდებელ და კათოლიკე სლავიანებს შორის.

იტალიის პოლიციამ შეიპყრა პროფესორი სბორბორო, რომელმაც ამ მოკლეს ხანებში გამოსცა ერთი პატარა ბროშიურა, სადაც იკვიცხვდა ყველა იტალიის მინისტრებს, ვინებოდა ამათ შინაურს ცხოვრებას, ჰკიცხვდა ყველა დაწესებულებათა. სბორბორო სულით ვად მყოფად იცნეს და ამ ქამალ საავად-მყოფოში ზის.

### ცვლევგრამები

(„წმინდელეთის საგანგებო“)

იანვრის 4-ს  
**ხარკომნი.** თებერვანდს შეიკრიბება აქ მეხუთე ენტომოლოგიური კრება; მოწინააღმდეგობის მიღებისათვის ამ კრებაზე მოწვეულ იქმნენ: მენნიკოვი, პორჩინსკი, დინდემანი და სხვა მსწავლეულები.

**პარშაპა.** გუშინ გარდაიცვალა ცნობილი პოლმელი პოეტი, მეგობარი მიცკევიჩისა, ანტონ ედუარდ სრდინევი.

**შან-პაი.** კორეისა და იაპონიის შორის დათანხმება შემდეგია: კორეიამ უნდა გადაიხადოს სამხედ-

რო ჯარიმა 509,000 ტოელი, ხოლო იაპონიის იყოლებს თავის ხარჯით 1500 კაცს მეციხოვნეთა სეულში.

### ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბენივიკი** ამით აცხადებს, რომ აქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემო მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამობობით მორიგად ყოფნა ბბ, ექიმთა და ბებიათა,

**ამიბეანი:**  
**არშთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**პორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიძე-შარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ბაბიშვილი:**  
**ვილჩაქოვისა,** სამშაბათობით.

**ბაბინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკეობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლომონა,** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**  
 ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური, რუმი	1 ტონა	5 ტ.
სეთის ფქვილისა	1 ტონა	5 ტ.
აქურის ფქვილისა: შირ-გელის ხარისისა	1 ტონა	2 1/2 ტ.
მეურისა	1 ტონა	2 ტ.
იმევე ფქვილი: თორხეში გამომცხვარი:		
შირველი ხარისისა	1 ტონა	4 1/2 ტ.
მეურისა	1 ტონა	3 ტ.
მესამისა	1 ტონა	2 1/2 ტ.
ჯვარის-მაძი შურა:		
შირველი ხარის, ღაგაში	1 ტონა	4 1/2 ტ.
მეურის ხარის, ღაგაში	1 ტონა	3 1/2 ტ.
მესამისა	1 ტონა	3 ტ.

ძრახის ხარცა:		
შირველი ხარისისა	1 ტონა	8 ტ.
მეურისა	1 ტონა	7 ტ.
სუბი	1 ტონა	15 ტ.
ცხვრის ხარცა	1 ტონა	8 ტ.
ღარის ხარცა:		
შირველი ხარისისა	1 ტონა	8 ტ.
მეურისა	1 ტონა	7 ტ.

### განცხადებანი

მადლობა ღმერთსა და გულითადი მადლობა პარისის თვალის აპერატორს **მიჩა-აბაზ-გაპ-ხალუი ზუსანიანსა.**

მე მარცხენა თვალში სამის წლის წინელ დამეკარგა მხედველობა; ბევრი მიწამლეს ექიმებმა, მაგრამ ვერა მიყვეს რა მფრე მივაქციე ყურადღება ახლად მოსულს სმოხსენებულს ექიმსა, რომელმაც ისე სწრაფად გამიკეთა აპერაცია რომ ეცლა ვხედავ სრულიად კარგად.

ექიმი სცხოვრობს ჩუღურეთში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის პირდა-პირ № 6. ქოზლოვის სახლში.

ხარისხულა ხანეივა როგი.

ანობდ... სწურობი...  
**პურის სპირტის**  
 და...  
**დაწმენდილი არაყისა**

განტარა კლადიკავკასიის სუბტო-ტროიციის არაყის ქარხნისა. შთამოგავლობით სახსტიო მოქალაქეთა იანე ადამის მის **ფორამონისა** და დავით ადამის მის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ განისხნა სანარდო სწურობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამაშოვის ქარხანაში, ერკენის მოედანზედ, ალელავის განტარის გვერდით.

სწურობაში არის მრავალ გარე პურის სპირტი: გოჭინისა, ლაკისა, ლიკოჩისა და ახსოლიუტური ალელავი; აგრეთვე არაყია: დაწმენდილი, სს-უფრა, დასტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ სწურობისა ასევედებ-თვით **ფორამონი**, დ. **სარაჯოვის დიდს ახალს სახლში** და უოკელ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭლეია ერთ-ვედრეანისა, 1/2 კედრეანისა, 1/10, 1/16, 1/20, და 1/40 კედრეანისა, ეტიკეტით და სწურობის ბეჭდით. მარკა: „Владикавказский Свято-Троицкий вино-курный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამევე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყია წვილ-წვილად 3 კედრეად 1, 1/2, და 1/4-კედრეანისა ჭურჭლით სწურობის ფასზედ.

ფასები სხვაგვარად ზომიერა; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს სწურობა თითხნა ხაზარებს შემოკვეთულს მოცემულად ადრესით.

ქალქს — გარეშეთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

**Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1.** (15-8)

ახლად მივიღე ამ ღღესასწაულებისთვის საუკეთესო ღვინოებით და ჭკვჭკვადის და სხვის მამულელებთან. ისყიდება: ბოთლი 15 კაპ.—1 მანეთამდინ, თურგი 70 კაპ.—3 მანეთამდინ ძველი, პირველის ხარისისა. პალვარი იმყოფება შელიამინოვის ქუჩაზედ, ღვინბნციის ქვეშ. (3-3) ს. ი. კუჭდელეოვა.

**ბაიხსნა ხელის მოყვრა 1885 წლისათვის მართულ სასულერო გაზაფხულს**

### „მწვემის“

და „მწვემის“ სასულს თვიურს დაამთავრა.

მიზანი და დანიშნულება გავითხრა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმადლესთა სასულიერო და სახორციელო მმართველობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საცეცო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საქმეებსა შეადგენს მათი მიერ მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

ზაზეთი „მწვემის“ გამოვა წარსული წლების მსგავსად ორნკვირში ერთხელ ორ საბეჭდავ ქალაქის ფურცელზე.

რუსული დამატება „მწვემის“ სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქალაქის ფურცელზე — თვეში თითოჯერ.

„მწვემის“ — ფასი მთელი წლისა გავზანეიდ — ხუთი მანეთი.

ნახევარის წლის — სამი მანეთი.

„მწვემის“ — ფასი რუსულის თეთრის დამატებით ერთი წლისა მამსნი მანეთი.

ნახევარი წლისა — ოთხი მანეთი.

საღვე რუსული დამატების ფასი წლისა — სამი მანეთი.

ნახევარი წლისა — ორი მანეთი.

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქტორში, რომელიც იმყოფება დაბა შვირილაში საკუთარს რედაქტორის სახლებში.

ზაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію „МЦКЕМСИ“**. (შვირილაში, „მწვემის“ რედაქტორში). (3-3)

### ქაღალბებანი

მეგრეთის ეპისკოპოსის მბარბილისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვეთო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაბარებენ ქაღალბებთა ამ სახით: **въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярiю Епископа.** (16-2)